

2014 წლის

ვანო ხუხუნაიშვილის სახელობის ეფექტიანი
მმართველობის სისტემის და ტერიტორიული
მოწყობის რეფორმის ცენტრი

6 თვის ანგარიში



შინაარსი

შესავალი	2
1. დეცენტრალიზაცია და თვითმმართველობის განვითარება.....	3
2. მოხელეთა სწავლება	8
3. ცენტრის ორგანიზაციული განვითარება.....	12
4. ფინანსური ანგარიში.	13



შესავალი

წინამდებარე ანგარიში ასახავს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ვანო ხუხუნაიშვილის სახელობის ეფექტიანი მმართველობის სისტემის და ტერიტორიული მოწყობის რეფორმის ცენტრის მიერ 2014 წლის სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ღონისძიებების შესრულებას 6 თვის მონაცემების მიხედვით.

ცენტრის დებულებითა და საქართველოს მთავრობის 2012 წლის 18 ივნისის #1182 განკარგულებით („საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, სახელმწიფო რწმუნებულების – გუბერნატორების ადმინისტრაციებისა და ადგილობრივი თვითმმართველობების მოხელეთა ტრენინგის მექანიზმის დამტკიცების თაობაზე“) დადგენილი ფუნქციების გათვალისწინებით, 2014 სამოქმედო გეგმით ცენტრის საქმიანობის პრიორიტეტებად განისაზღვრა:

- საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, სახელმწიფო რწმუნებულების-გუბერნატორების ადმინისტრაციებისა და ადგილობრივი თვითმმართველობების ადამიანური რესურსების განვითარება;
- დეცენტრალიზაციის მიმართულებით გასატარებელ ღონისძიებებში საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საქმიანობის ხელშეწყობა;
- ცენტრის ინსტიტუციური განვითარება.

აღნიშნული პრიორიტეტების შესაბამისად, 2014 წლის 6 თვის განმავლობაში ცენტრის ორგანიზებით ტრენინგი გაიარა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს 180 მოხელემ, აგრეთვე სახელმწიფო რწმუნებულების-გუბერნატორების ადმინისტრაციების 42 მოხელემ.

თვითმმართველობის მოხელეების სწავლების სფეროში ცენტრის საქმიანობის მნიშვნელოვან შედეგს წარმოადგენს „ადგილობრივი თვითმმართველობის მოსამსახურეების უწყვეტი სწავლების კონცეფციის“ პროექტზე მუშაობის დასრულება. კონცეფციის პროექტი შემუშავებულ იქნა საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“ განსაზღვრულ მუნიციპალიტეტებში ადამიანური რესურსების მართვის სფეროსადმი ახალი მიდგომების შესაბამისად. კონცეფციის პროექტის წარდგენით, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ საქართველოს მთავრობას შესთავაზა ადგილობრივი თვითმმართველობის მოსამსახურეების სწავლების ორგანიზებისა და ხარისხის მართვის კომპლექსური სისტემის ჩამოყალიბების ხედვა, რომელიც მორგებულია თვითმმართველობის საჭიროებებზე და ორიენტირებულია მათ სტიმულირებაზე განავითარონ ადამიანური რესურსების მართვის მექანიზმები. კონცეფცია, შესაბამის სამოქმედო გეგმასთან ერთად მოწონებულ იქნა საქართველოს მთავრობის 2014 წლის 29 მაისის N 959 განკარგულებით.



მნიშვნელოვანია ცენტრის როლი დეცენტრალიზაციისა და ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის ღონისძიებებში, რომლებიც საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ხელმძღვანელობით განხორციელდა. კერძოდ, ცენტრი უშუალოდ იყო ჩართული შესაბამისი სამართლებრივი აქტების პროექტების შემუშავებაში, ასევე ადგილობრივი თვითმმართველობის ოპტიმიზაციის მიმართულელებით განხორციელებული ღონისძიებების მეთოდოლოგიურ და ორგანიზაციულ მხარდაჭერაში.

საანგარიშო პერიოდში მნიშვნელოვანი ღონისძიებები გატარდა ცენტრის ორგანიზაციული და ინსტიტუციური განვითარების მიმართულელებითაც.

1. დეცენტრალიზაცია და თვითმმართველობის განვითარება

საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“ გათვალისწინებული აქტივობების განხორციელების მიზნით, რეფორმის სამოქმედო გეგმის პროექტის შემუშავება

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მიღებით საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმა გადავიდა თვისობრივად ახალ სტადიაზე – თვითმმართველობაში არსებული პრობლემების ადეკვატურად დარეგულირდა თვითმმართველობის განხორციელების უმნიშვნელოვანესი საკითხები, ახლებურად განისაზღვრა მუნიციპალიტეტების ოპტიმიზაციის ნორმები და პროცედურები, შემოღებულ იქნა მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოების პირდაპირი წესით დაკომპლექტების პრინციპი, განისაზღვრა რეფორმის იმპლემენტაციის ეტაპები, დადგინდა კანონქვემდებარე აქტების მიღების ოპტიმალური ვადები და პასუხისმგებელი უწყებები.

ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის – ზოგადად და მისი ერთ–ერთი უმნიშვნელოვანესი ეტაპის – მუნიციპალიტეტების ოპტიმიზაციის პროცესის წარმართვა დაკავშირებულია სხვადასხვა ხასიათის სამართლებრივი და ორგანიზაციული ხასიათის ღონისძიებების ეფექტიან და დროულ განხორციელებასთან. ვინაიდან, ოპტიმიზაციის პროცესი მიმდინარეობს როგორც მუნიციპალურ, ასევე სამთავრობო დონეზე, უაღრესად მნიშვნელოვანია მიმდინარე პროცესების კოორდინაციისა და სინერჯის უზრუნველყოფა.

თვითმმართველობის რეფორმის მიმდინარე ეტაპის იმპლემენტაციის პროცესის თანმიმდევრული დაგეგმვისა და განხორციელების ხელშეწყობის მიზნით, ცენტრიაქტიურად იყო ჩართული საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ხელმძღვანელობით წარმართულ ღონისძიებებში.

ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის 2014-2017 წლების სამოქმედო გეგმის პროექტის შემუშავების მიზნით, გაეროს განვითარების პროგრამის „რეგიონული და



ადგილობრივი განვითარების მხარდაჭერა საქართველოში “პროექტთან თანამშრომლობით, მიმდინარე წლის მარტი–მაისის პერიოდში, მოწვეული ექსპერტების ჩართულობით, ჩატარდა სამინისტროს და ცენტრის თანამშრომლების რამდენიმე სამუშაო შეხვედრა. შედეგად განისაზღვრა ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის მიმდინარე ეტაპზე განსახორციელებელი ღონისძიებების თანმიმდევრობა, განხორციელების ოპტიმალური ვადები და პასუხისმგებელი უწყებები. სამოქმედო გეგმის ადამიანური რესურსების განვითარების თავი გაიწერა ცენტრის მიერ მომზადებული მასალების მიხედვით. კერძოდ, დეტალურად განისაზღვრა ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეების სწავლების სისტემის კონცეფციის შემუშავებასა და თვითმმართველობის მოხელეებისათვის სავალდებულო (მინიმალური) კომპეტენციის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის პროცედურის – სერტიფიცირებისშესაძლო შემოღებასთან დაკავშირებული აქტივობების თანმიმდევრობა და ამ მიმართულებით მისაღები საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების ნუსხა.

სამუშაო შეხვედრების ფორმატში შემუშავებულ მასალებზე დაყრდნობით, ცენტრშიგანახორციელდა ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის 2014-2017 წლების სამოქმედო გეგმის პროექტის სხვადასხვა თავების ურთიერთშესაბამისობის ანალიზი, აგრეთვე, ექსპერტიზა – საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“ დადგენილ ნორმებთან და ვადებთანპროექტის შესაბამისობის გადამოწმებისკუთხით.

ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმასთან დაკავშირებით საზოგადოების ინფორმირება

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან და ცენტრთან თანამშრომლობით, სამოქალაქო კულტურის საერთაშორისო ცენტრმა, აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID)პროგრამის დემოკრატიული მმართველობა საქართველოსი (G3)მხარდაჭერით განახორციელა პროექტი „ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის შესახებ საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების საინფორმაციო კამპანია“, რომლის მიზანიც იყო საქართველოს მოქალაქეთა ინფორმირება დეცენტრალიზაციის რეფორმის მიმდინარეობისა და კანონმდებლობით განსაზღვრული სიახლეების შესახებ.

ახალი მუნიციპალიტეტებისთვის პრაქტიკული გზამკვლევის მომზადება

2014 წლის 6 თვის განმავლობაში ცენტრი აქტიურად თანამშრომლობდა იმ საერთაშორისო პარტნიორ ორგანიზაციებთან, რომლებიც ახორციელებენ სამინისტროს და მუნიციპალიტეტების ხელშეწყობის პროექტებს. კერძოდ, მუნიციპალიტეტებისთვის სარეკომენდაციო ხასიათის მასალის მომზადების მიზნით, ცენტრი ახორციელებდა



საერთაშორისო პარტნიორი ორგანიზაციების - MSI-ის და UNDP-ის საქმიანობის კოორდინაციას.

ცენტრის მიერ განხორციელდა ახლადშექმნილი მუნიციპალიტეტებისთვის სარეკომენდაციო ხასიათის სახელმძღვანელოს სამართლებრივი და საექსპერტო მხარდაჭერა. აღნიშნული სახელმძღვანელო შემუშავდა საერთაშორისო ორგანიზაციის - MSI-ის მიერ, გაეროს განვითარების პროგრამის პროექტის „საქართველოში რეგიონული და ადგილობრივი განვითარების მხარდაჭერა საქართველოში“ ჩართულობით. ცენტრის მონაწილეობით, მიმდინარე წლის 18 და 26 ივნისს მოეწყო სამუშაო შეხვედრები სახელმძღვანელოს ავტორებთან, სადაც განხილულ იქნა აქტუალური და პრობლემური საკითხები, განისაზღვრა რეკომენდაციებისა და მეთოდოლოგიური მასალების შინაარსობრივი ასპექტები.

საკანონმდებლო ინიციატივების მომზადებაში საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საქმიანობის ხელშეწყობა

საკანონმდებლო ინიციატივების მომზადებაში საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საქმიანობის ხელშეწყობის ფუნქციის ფარგლებში, ცენტრმა მონაწილეობა მიიღო სამინისტროს ინიციატივით საქართველოს მთავრობისთვის წარდგენილი მთელი რიგი ნორმატიული აქტების პროექტების მომზადებაში. აღნიშნული პროექტებია:

- თვითმმართველობის ორგანოების თანამდებობრივი სარგოს ზღვრული ოდენობის განსაზღვრის თაობაზე საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი;
- „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი;
- „მუნიციპალიტეტებს შორის ქონებისა და ვალდებულებების გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი;
- „საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 152-ე მუხლის საფუძველზე შექმნილი ახალი მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების შედგენის, საბიუჯეტო შემოსულობებისა და გადასახდელების, 2014 წლის ბოლომდე პერიოდისთვის, გადანაწილების დროებითი წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი.

ცენტრის ხელმძღვანელი, საქართველოს რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიის წევრის სტატუსით მონაწილეობას იღებდა მუნიციპალიტეტების ოპტიმიზაციისათვის შესაბამისი კრიტერიუმების შემუშავებაში. კომისიის გადაწყვეტილების შესაბამისად, მას დაევალა კოდექსით გათვალისწინებული სამართლებრივი აქტების პროექტების შემნის მიზნით ჩამოყალიბებული სამუშაო ჯგუფების ხელმძღვანელობა.

მუნიციპალიტეტებისთვის სამართლებრივი აქტების სამოდელო დოკუმენტების შემუშავება



საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ ამოქმედებასთან დაკავშირებით, მუნიციპალიტეტებისთვის სამართლებრივი დახმარების ფარგლებში, ცენტრმა შეიმუშავა განსახორციელებელი ღონისძიებების გრაფიკი როგორც არსებული, ასევე ახლადშექმნილი მუნიციპალიტეტებისთვის. აღნიშნული გრაფიკები მუნიციპალიტეტებს დაურიგდათ როგორც კოდექსით გაწერილი პირველი ნაბიჯების საილუსტრაციო მასალა. ასეთი სახის მეთოდოლოგიური მხარდაჭერა განსაკუთრებით აქტუალურია ახლადშექმნილი მუნიციპალიტეტებისთვის, განსაკუთრებით ისეთ საკითხებში, როგორებიცაა: მუნიციპალიტეტის რეგისტრაცია, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების ფუნქციონირებისათვის აუცილებელი ნორმატიული ბაზის შემუშავება და უმოკლეს დროში მისი ამოქმედების საჭიროება, მოქმედი ნორმატიული აქტების რევიზია და კოდექსთან შესაბამისობაში მოყვანა, თანამშრომლების სამსახურში აყვანა და ამასთან დაკავშირებული სამართლებრივი პროცედურების ჩატარების უზრუნველყოფა, ასევე მსგავსი ტიპის სხვა ღონისძიებების განხორციელება.

სამინისტროს კოორდინაციით, ცენტრის თანამშრომლები უშუალოდ მონაწილეობდნენ გასაუქმებელი მუნიციპალიტეტების მიერ ქონებისა და ვალდებულებების განაწილებასა და მუნიციპალიტეტის ლიკვიდაციასთან დაკავშირებული ღონისძიებების მეთოდოლოგიური მხარდაჭერის პროცესში, რაც გამოიხატებოდა როგორც შესაბამისი კონსულტაციების გაწევად, ასევე სანიმუშო აქტების მომზადებასა და სამართლებრივი ექსპერტიზის განხორციელებაში.

სამინისტროს მხარდაჭერის მიზნით, ცენტრმა, რეგიონული განვითარების საკითხებში, შეიმუშავა რეკომენდაციები რეგიონული განვითარების სააგენტოების ჩამოყალიბების მიზანშეწონილობის და ზოგადად, რეგიონული მმართველობის და თვითმმართველობის ინსტიტუციური მოწყობის შესახებ; აგრეთვე ცენტრში მომზადდა რეკომენდაციები რეგიონული და ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების დაფინანსების კრიტერიუმებისა და პროცედურების სრულყოფის შესახებ.

ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმასთან დაკავშირებული სამუშაო და საინფორმაციო ვიზიტები

ცენტრის დირექტორმა, საქართველოს სამთავრობო დელეგაციის შემადგენლობაში, მონაწილეობა მიიღო მიმდინარე წლის 17-20 თებერვალს კვიპროსის რესპუბლიკაში, ქ. ნიქოზიაში გამართულ ევროსაბჭოს ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლებების კონგრესის მონიტორინგის სხდომაში, რომელზეც განხილული იყო საქართველოში დაგეგმილი თვითმმართველობის რეფორმა, ახალი კოდექსით განსაზღვრული სიახლეები და ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ კანონმდებლობის შესაბამისობა ევროპულ



ქართვასთან.



2. მოხელეთა სწავლება

2014 წელს ჩატარებული ტრენინგები

2014 წლის პირველ და მეორე კვარტალში ცენტრმა საქართველოს მთავრობის 2012 წლის 18 ივნისის #1182 განკარგულების („საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, სახელმწიფო რწმუნებულების-გუბერნატორების ადმინისტრაციებისა და ადგილობრივი თვითმმართველობების მოხელეთა ტრენინგის მექანიზმის დამტკიცების თაობაზე“) საფუძველზე შემუშავებული მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლების 2014 წლის ტრენინგების გეგმის შესაბამისად, ჩატარა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს და სახელმწიფო რწმუნებულების-გუბერნატორების ადმინისტრაციების მოხელეთა ტრენინგები თემებზე:

- პროექტის მართვა;
- ეფექტური კომუნიკაცია;



- სამინისტროს წარმომადგენლობა სასამართლოში;
- თვითმმართველობის საკანონმდებლო საფუძვლები;
- სახემწიფო შესყიდვები;
- ადამიანური რესურსების მართვა;
- ფონდების მოძიება;
- მენეჯმენტის საფუძვლები;
- სტრატეგიული დაგეგმვა;
- საბიუჯეტო პროცედურები;
- მოქალაქეთა მომსახურება.




პირველი და მეორე კვარტლის განმავლობაში ჩატარებული ტრენინგებით ჯამში 222 საჯარო მოხელემ აიმაღლა კვალიფიკაცია.

მოხელეებს, რომელთაც წარმატებით დაძლიეს ტრენინგ-კურსები, გადაეცათ სერტიფიკატები.

მონაწილეთა მიერ ხდებოდა თითოეული ტრენინგის ხარისხის შეფასება. შეფასებები ასახულია დიაგრამაზე. მაქსიმალური დადებითი შეფასებაა 100%.





ყველა ტრენინგის შეფასება მაქსიმალური შეფასების 90-98% დიაპაზონშია.

ადგილობრივი თვითმმართველობის მოსამსახურეთა უწყვეტი სწავლების კონცეფციის პროექტის შემუშავება

ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმირების სფეროში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“ გათვალისწინებულ მრავალ სხვა სიახლესთან ერთად, დადგინდა მუნიციპალიტეტების ვალდებულება 2015 წლის 1 იანვრიდან ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოსამსახურეების სწავლება–გადამზადებისთვის მიმართონ შრომის ანაზღაურებისათვის გათვალისწინებული საბიუჯეტო ასიგნებების საერთო მოცულობის არანაკლებ 1 პროცენტი. ამასთანავე, სწავლების სფეროში შესაბამისი რეგულაციების შემოღების მიზნით, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს დაევალა წინადადებების შემუშავება ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოსამსახურეთა უწყვეტი სწავლების სისტემის განვითარების შესახებ და 2014 წლის 1 მაისამდე მათი საქართველოს მთავრობისათვის წარდგენა.

აღნიშნული ნორმების ამოქმედებით განისაზღვრა ადგილობრივი თვითმმართველობის მოსამსახურეების სწავლების არსებული სისტემის განვითარების ფინანსური და



საკანონმდებლო გარანტიები, ასევე დადგინდა კონცეპტუალური ხედვის საკვანძო საკითხების ჩამოყალიბების ოპტიმალური ვადა.

სამინისტროს ზოგადი კოორდინაციითა და გაეროს განვითარების პროგრამის პროექტთან „რეგიონული და ადგილობრივი განვითარების მხარდაჭერა საქართველოში“ თანამშრომლობით, ცენტრმა ჩაატარა სამუშაო შეხვედრები შემდეგი სფეროს წარმომადგენლებთან:

- საჯარო სამსახურის სახელმწიფო კონცეფციის შემუშავებელი ექსპერტთა ჯგუფი;
- ტრენინგების მიმწოდებელი არასამთავრობო ორგანიზაციები;
- მცხეთა-მთიანეთის რეგიონის მუნიციპალიტეტები;
- განათლების ადგილობრივი ექსპერტები და ლიტველი ექსპერტი იურგიტა სიუზდიგნიენე.

შეხვედრების მიზანს წარმოადგენდა კონცეფციის საბოლოო ვერსიის შემუშავების პროცესში მათი გამოცდილების, დასაბუთებული რეკომენდაციების და მოსაზრებების გაზიარება.

„ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა უწყვეტი სწავლების კონცეფციის“ პროექტის განხილვის შედეგად, ასევე გათვალისწინებულ იქნა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ხედვა სწავლების სისტემის ინსტიტუციურ მოწყობასა და სამართლებრივ უზრუნველყოფასთან, აგრეთვე კონცეფციის პრინციპული მნიშვნელობის მქონე სხვა საკითხებთან დაკავშირებით.

„ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა უწყვეტი სწავლების კონცეფციის“ პროექტზე მუშაობა დასრულდა მიმდინარე წლის მაისის თვეში და საქართველოს მთავრობისთვის წარდგენის მიზნით, გადაეცა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს. მთავრობამ მოიწონა აღნიშნული კონცეფციის პროექტი მიმდინარე წლის 22 მაისს სამთავრობო სხდომაზე.

კონცეფციის მოწონების შემდეგ, ცენტრმა დაიწყო მუშაობა მისი სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელებაზე, კერძოდ, შემუშავდა კონცეფციის დანერგვის დეტალური სამოქმედო გეგმა, რომლის განხილვის და შეთანხმების მიზნითაც 19 და 20 ივნისს ცენტრისა და გაეროს განვითარების პროგრამის „რეგიონული და ადგილობრივი განვითარების მხარდაჭერა საქართველოში“ პროექტის ერთობლივი სამუშაო შეხვედრა ჩატარდა.

კონცეფციის სამართლებრივი იმპლემენტაციის პროცესის დაწყების მიზნით, ცენტრის მიერ, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს იურიდიულ სამსახურთან კონსულტაციების რეჟიმში, შემუშავებულ იქნა საქართველოს კანონის პროექტი „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ. აღნიშნული კანონპროექტით კანონს ემატება 132¹ მუხლი, რომელიც ითვალისწინებს საქართველოს მთავრობისათვის უფლებამოსილების მინიჭებას და ამავე დროს დავალდებულებას დადგენილებით განსაზღვროს ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოსამსახურეთა უწყვეტი სწავლების სისტემა, სისტემაში ჩართული უწყებების უფლებამოსილებები, სწავლების სისტემის ფუნქციონირების პრინციპები და წესი.



მუნიციპალიტეტების ადამიანური რესურსების მართვის სისტემის განვითარების ხელშეწყობა

მუნიციპალიტეტებში ადამიანური რესურსების განვითარების შესაძლებლობების შესწავლის მიზნით, ცენტრის თანამშრომლები გაეცნენ ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეების სერტიფიცირებასთან დაკავშირებით საზღვარგარეთის ქვეყნებში არსებულ გამოცდილებას. აღნიშნულის პარალელურად, გაანალიზდა საქართველოში სხვადასხვა პროფესიული თუ საჯარო სფეროს მოსამსახურეთა სერტიფიცირების საკანონმდებლო საფუძვლები და პრაქტიკა. მოძიებული მასალის საფუძველზე, შემუშავდა ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეების კვალიფიკაციის მინიმალური სტანდარტი და ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეების სერტიფიცირების მარეგულირებელი ნორმატიული აქტების პროექტები.

ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეების სასერტიფიკაციო გამოცდის განხორციელების სამართლებრივი და ინსტიტუციური, ასევე ორგანიზაციული უზრუნველყოფის შესაძლებლობების კვლევის ფარგლებში, ცენტრის ინიციატივით მოეწყო საინფორმაციო-საკონსულტაციო ხასიათის შეხვედრები საგამოცდო და მოხელეების სწავლების მიზნებისთვის განკუთვნილი ინფრასტრუქტურის მქონე დაწესებულებების წარმომადგენლებთან. მოძიებული ინფორმაციის საფუძველზე, შიდა კვლევის სახით, მომზადდა სასერტიფიკაციო გამოცდის შემოღებისთვის საჭირო ღონისძიებებისა და ვადების გრაფიკი, ასევე კანონმდებლობაში ცვლილებების პროექტების კონცეპტუალური მონახაზი.

მიმდინარე წლის ივნისში დაიწყო ცენტრისა და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) ერთობლივი პროექტი „ადამიანური რესურსების მართვის სისტემის განვითარების ხელშეწყობა ადგილობრივ თვითმმართველობებში“. პროექტის მიზანს წარმოადგენს 10 საპილოტე მუნიციპალიტეტში ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელი მოხელეების კვალიფიკაციის ამაღლება და მათი მეშვეობით ადამიანური რესურსების მართვის სისტემის განვითარება. პროექტის ფარგლებში, ცენტრის მიერ მოწვეული კვალიფიციური ექსპერტების დახმარებით, იგეგმება ადგილობრივი მოხელეების დატრენინგება, სამუშაო აღწერილობების, შეფასებისა და მოტივაციის სისტემების სარეკომენდაციო ნიმუშების შემუშავება, ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოსამსახურეთა კვალიფიკაციის ამაღლებისთვის ტრენინგების საჭიროებების დადგენის მეთოდოლოგიურ სახელმძღვანელოს შექმნა და საპილოტე მუნიციპალიტეტებში მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლების 2015 წლის გეგმის განსაზღვრა.

3. ცენტრის ორგანიზაციული განვითარება

ორგანიზაციული განვითარების ძირითადი მიმართულებები



ცენტრის ფუნქციების სრულყოფილი და ეფექტიანი განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით, დაიგეგმა და განხორციელდა ცენტრის ორგანიზაციული განვითარების ღონისძიებები, რომლებიც მოიცავდა როგორც ადამიანური რესურსების განვითარების კომპონენტს, ასევე საქმისწარმოების გაუმჯობესების და კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვადასხვა ვალდებულებების ეფექტიანი და დროული შესრულების ადმინისტრირების საკითხებს.

წლის დასაწყისში დაინერგა საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის ელექტრონული სისტემები. ჩატარდა კონკურსები ცენტრში არსებული ვაკანტური თანამდებობების შესავსებად, დამტკიცდა შესაბამისი საკვალიფიკაციო მოთხოვნები და სამუშაოთა აღწერილობები. მიღებულ იქნა ცენტრის ახალი შრომის შინაგანაწესი და საქმისწარმოების ინსტრუქცია.

საანგარიშო პერიოდში, ცენტრი აწარმოებდა მოლაპარაკებებს ჩეხეთის განვითარების სააგენტოსთან. კერძოდ, შემუშავდა ერთობლივი პროექტის „საქართველოში ადგილობრივი რეფორმის მხარდაჭერა“ ლოგიკური ჩარჩო და მომზადდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი. აღნიშნული პროექტის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი საქმიანობები:

- ცენტრის ტექნიკური დახმარება და მისი ოპერაციული პროცედურების სტანდარტიზაცია;
- კურიკულუმების შემუშავება: „ტრენინგი მენეჯმენტში მუნიციპალიტეტების არჩეული გამგებლებისთვის“ და „ტრენინგი თვითმმართველობის დამწყებ საჯარო მოსამსახურეთათვის“;
- ადგილობრივი თვითმმართველობების მოსამსახურეთათვის e-learning -ის სისტემის დანერგვისთვის რეკომენდაციების შემუშავება;
- ჩეხეთის გამოცდილების გაზიარება პროექტით გათვალისწინებულ საქმიანობებში.

ცენტრის ინსტიტუციური და ორგანიზაციული შესაძლებლობების დიაგნოსტიკისა და შემდგომი განვითარების დაგეგმვის მიზნით, ცენტრი თანამშრომლობდა კომპანია „სინერჯი გრუპთან“. საანგარიშო პერიოდში ჩატარდა ინტერვიუები ცენტრის დირექტორთან და დირექტორის მოადგილესთან, დაიგეგმა სამუშაო შეხვედრა ცენტრის თანამშრომლებთან. დიაგნოსტიკის საფუძველზე მოხდება ცენტრის ახალი ორგანიზაციული სტრუქტურისა და სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავება.

4. ფინანსური ანგარიში

2014 წლისათვის ცენტრის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებები განისაზღვრა 270000,00 ლარის ოდენობით. სამინისტროსთან შეთანხმდა ცენტრის ორგანიზაციული სტრუქტურა საშტატო განრიგი 9 ერთეულით.

ცენტრის მიერ 2014 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებებიდან გაწეულმა თვის ხარჯებმა სულ შეადგინა 115393,55 ლარი, მათ შორის:



1. შრომის ანაზღაურება - 92053,70 ლარი;
2. საქონელი და მომსახურება - 21412,77 ლარი;
3. სოციალური უზრუნველყოფა - 1434,72 ლარი;
4. სხვა ხარჯები - 492,36 ლარი;
5. არაფინანსური აქტივები - 0,0 ლარი.

